

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამაგისტრო პროგრამა „გარემოს მედიცინა“
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	გარემოს მედიცინის მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	გენადი კვერენჩილაძე
პროგრამის მოცულობა	პროგრამის ხანგრძლივობა ორი წელია (სწავლების 4 სემესტრი) და მოიცავს 120 ECTS კრედიტს (ერთი კრედიტი -30 საათი). მათგან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 75%-ს (90 კრედიტი), ხოლო კვლევითი კომპონენტი – 25%-ს (30 კრედიტი).
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზნები	თსსუ-ის დეკლარირებული მისიის, ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის, მისი საარსებო გარემოს ოპტიმიზაციის და, ასევე, შრომის ბაზრის მოთხოვნილებათა შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის „გარემოს მედიცინა“ მიზანია ჯანდაცვის პოლიტიკის გატარებაში წარმატებული მონაწილეობისა და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციის თვალსაზრისით, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადება.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/-ები	პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდაზე კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და საუნივერსიტეტო გამოცდების დადებითი შედეგების საფუძველზე.
სწავლების მეთოდები	<p>სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ პროცესში გამოყენებულია სწავლების შემდეგი ფორმები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ლექციები</b> - სრულად ეთმობა შესასწავლი სასწავლო კურსის თეორიულ ნაწილს, სადაც სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს ფართო თეორიული ცოდნა. გამოიყენება მშობლიურ და უცხოურ ენაზე არსებული ლიტერატურა და პუბლიკაციები.</li> <li>• <b>პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობები</b> - მიმდინარეობს ინტერაქტიული ლექციის ფორმით. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება სხვადასვა ტექნიკური საშუალებები;</li> <li>• <b>დამოუკიდებელი მუშაობა</b> - ყველა სასწავლო კომპონენტში გათვალისწინებულია დამოუკიდებლად მუშაობის საათები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტრაპერსონალური ინტელექტის ტიპის სტუდენტებისთვის.</li> </ul>

- **დისკუსიები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ხელს უწყობს კრიტიკულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებას;
- **პროფესიული უნარების დაუფლება სიტუაციური ამოცანების (Case study) გამოყენებით** - მოდელირებული შემთხვევის ან მდგომარეობის ანალიზი, რომელიც გულისხმობს სიტუაციის ჰიგიენურ შეფასებას და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დასახვას. სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვაზე. წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად აწვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უწვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.
- **კონსულტაციები** - პედაგოგის დახმარების მექანიზმი, რაც გულისხმობს სტუდენტის დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობას, სასწავლო ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის სწორად წარმართვას და დამოუკიდებელი მუშაობისას წამოჭრილ საკითხებში გარკვევას.
- **პრეზენტაცია** - პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას
- **პრაქტიკული მუშაობის მეთოდები** - ემსახურება სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას. იგი აწვითარებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, შესწავლილი საგნისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად, კონკრეტულად სამუშაო ადგილზე.

მაგისტრანტის მიღწევების შეფასების წესი შეესაბამება საქართველოში სათანადო მარეგულირებელი წესების და თსსუ-ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს

<p><b>სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა</b></p>	<p>სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის შესახებ. ითვალისწინებს ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას. სამაგისტრო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და მაგისტრანტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 5.01.2007 წლის N3 ბრძანების შესაბამისად.</p> <p><b>მაგისტრანტის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს:</b></p> <p><b>სასწავლო კომპონენტებში შეფასებას:</b> . სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებში შეფასების მიღება ხდება მხოლოდ მოთხოვნილი სამუშაოს წარმატებით დასრულების შემდეგ. მაგისტრანტის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შუალედური შეფასებას;</li> <li>• დასკვნითი გამოცდის შეფასებას;</li> </ul> <p><b>სამაგისტრო ნაშრომის შეფასება.</b> მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევის მიზნის, ამოცანების და კვლევის მეთოდის ურთიერთშესაბამისობა</li> <li>• შედეგების სარწმუნოება და დამაჯერებლობა</li> <li>• კვლევის შედეგების შესაბამისობა დასახულ მიზანსა და ამოცანებთან</li> <li>• მაგისტრანტის მიერ დარგობრივი/თემატური აკადემიური ტერმინოლოგიის ფლობის ხარისხი</li> <li>• პრეზენტაციის ვიზუალური კომპონენტი (თვალსაჩინოებათა ადეკვატურობა და საკმარისობა)</li> <li>• დისკუსიაში მაგისტრანტის მიერ საკუთარი პოზიციის არგუმენტირების ხარისხი</li> </ul>
<p><b>სწავლის შედეგები</b></p>	<p>პროგრამის სწავლის შედეგები არის შეფასებადი, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაძლებლობას იძლევა, შევამოწმოთ სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგები და კომპეტენციები.</p> <p>პროგრამას აქვს <b>9 სასწავლო შედეგი</b>, რომლებიც იძლევა სამი მიმართულებით კურსდამთავრებულთა კომპეტენციის განვითარებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ცოდნა და გაცნობიერება,</li> <li>• უნარი,</li> <li>• პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.</li> </ul> <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ იცის გარემოს ობიექტების მდგომარეობის სანიტარული კონტროლის განხორციელების მეთოდები. აცნობიერებს</li> </ul>

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გარემოს ფაქტორების მოქმედების დროული გამოვლენის მნიშვნელობას სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების თვალსაზრისით.

- ✓ იცის კვლევის თანამედროვე მეთოდები და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას გარემოს მედიცინის პრობლემების შესწავლაში.
- ✓ იცის სტატისტიკური ანალიზის მეთოდები და მათი გამოყენება მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით.

#### უნარი

##### შეუძლია:

- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მოქმედი საწარმოო და არასაწარმოო ფაქტორების გამოვლენა და მათი როლის შეფასება. კონტროლის განხორციელება დაგეგმილი პროფილაქტიკური ღონისძიებების შესრულებაზე და მათ ეფექტურობაზე.
- ✓ გარემოს ობიექტების სანიტარიული მდგომარეობის კონტროლი. პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების ორგანიზების კონტროლი პროფესიული დაავადებების პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების შემუშავების მიზნით. მოსახლეობის ავადობის ოპერატიული და რეტროსპექტული ანალიზი, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაში მონაწილეობა.
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოსა და საწარმოო ფაქტორების გავლენის ანალიზი, დასკვნების შემუშავება და პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვა, შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი, მიღებული სპეციალობით სამეცნიერო კვლევის ჩატარება და შედეგების ანალიზი.
- ✓ ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნებისა და საკუთარი მოსაზრებების წარდგენა პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით, როგორც აკადემიურ, ისე არაფორმალურ ურთიერთობებში როგორც მშობლიურ ისე უცხოურ (ინგლისურ) ენაზე.

##### პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- ✓ პროფესიულ საქმიანობაში საკუთარი ადგილის, როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, შეუძლია

	<p>სათანადო წვლილი შეიტანოს გარემოს მედიცინის ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შეუძლია გარემოს მედიცინაში საკუთარი ცოდნისა და უნარების ობიექტური შეფასების საფუძველზე, უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.</li> </ul>
<p><b>კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები</b></p>	<p><b>პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;</li> <li>✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;</li> <li>✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო;</li> <li>✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო;</li> <li>✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი;</li> <li>✓ დარგობრივი სამეცნიერო კვლევითი უნივერსიტეტები.</li> </ul>